



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000024137803820

№ 1-0

03 / იანვარი / 2020 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის სანვავის ლიმიტის განსაზღვრისა და განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 25 დადგენილების შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

სამსახურებრივი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეფექტურად წარმართვის მიზნით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან, საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის განისაზღვროს სანვავის ყოველთვიური ლიმიტი და გადანაწილდეს შემდეგნაირად:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარე -450 ლიტრი(ევრო დიზელი);
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-300 ლიტრი (ბენზინი პრემიუმი);
- გ) კომისიის თავმჯდომარე-50 ლიტრი(ბენზინი პრემიუმი);
- დ) საკრებულოს აპარატი-50 ლიტრი(ბენზინი პრემიუმი).

მუხლი 2

სანვავის მიმღებ პირებს, სამსახურებრივი ავტომობილის არქონის გამო დაერთოთ ნება ისარგებლონ საკუთარი ან მათ სარგებლობაში მყოფი ავტომობილებით.

მუხლი 3

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების საკითხების სპეცილისტს კონსტანტინე ჭანკოტაძეს.

მუხლი 4

მერიის საფინანსო სამსახურს დაევალოს იხელმძღვანელოს ამ ბრძანებით.

მუხლი 5

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:

ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.